საქართველოს მთავრობის

დადგენილება №84

2024 წლის 19 მარტი

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის მიერ გასაწევი მომსახურების საფასურის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1^1 პუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის მიერ გასაწევი მომსახურების საფასური, ამ დადგენილების დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ამ დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის მიერ გასაწევი მომსახურების საფასური ვრცელდება მხოლოდ საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებების მიერ განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვებზე.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**

დანართი

მომსახურების საფასური ერთ მსმენელზე (დღგ-ის ჩათვლით)

№	მომსახურების დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)
1	საკლასო სწავლების მომსახურების საფასურები			
1.1	საკლასო ფორმატში ტრენერის მომსახურება დამკვეთის მიერ უზრუნველყოფილ სივრცეში	კაც/საათი	1	47
1.2	საკლასო ფორმატში ტრენერის მომსახურება სკოლის სარგებლობაში არსებულ სივრცეში	კაც/საათი	1	57
	საკლასო ფორმატში სწავლების სკოლის ბაზაზე მიმდინარეობის დროს კამპუსში (სკოლის საცხოვრებელი) განთავსება და კვება			

1.3	(სამჯერადი)	კაც/დღე	1	200
1.3.1	ღამისთევა	კაც/დღე	1	80
1.3.2	კვება	კაც/დღე	1	120
2	**დისტანციური სწავლების მომსახურების საფასურები**			
2.1	დისტანციურ რეჟიმში მომსახურება	კაც/საათი	1	30.